პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 292 (19733) კვირა, 21 დეკემბერი, 1986 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

ჩვენს დიად სამშობლოში

ენერგია — სახალხო მეურნეობას

თურქმენეთის სსრ. მზის ენერგიის მეშვეობით უდაბნოს ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენების აქტუალურ სახალხო-სამეურნეო ამოცანებს წყვეტენ რესპუბლიკის მეცნიერები. მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „მზის“ ბაზაზე ამუშავებენ და სწავლობენ იაფ ბუნებრივ ენერგიაზე მოქმედ ბელიოენერგეტიკულ დანადგარების დენერგიის ბერხებსა და შესაძლებლობებს. დღეს შექმნილია და ფართოდ იყენებენ წარმოებაში ქლორელის — პირუტყვის უუცთოანი ცილოვანი საკვების — გამოსაზრდელ ბელიოდანადგარებს, ბელიოსთბურებს და საშრობელებს, წყალმწყობებსა და სამტკნარებლებს.

თურქმენ მეცნიერთა ნამუშევრებს იყენებენ რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში, აგრეთვე საზღვარგარეთ — მონღოლეთსა და კუბაში. ერთობლივი მეცნიერული კვლევის ხელშეკრულება დიდი ჩეხოსლოვაკიელ სპეციალისტებთან.

სურათზე: მზის ენერგეტიკული დანადგარს გამოსაცდელად ამზადებენ. კონცენტრატორის მეშვეობით მზის ენერგია ელექტრობად გარდაიქმნება.



ტალინის ახალი უბანი

„აყვავებული გორა“ — ამას ნიშნავს ტალინის ერთ-ერთი ახალი ულამაზესი უბნის ესტონური დასახელება — „ვი



22 დეკემბერი ენერგეტიკოსის დღეა

წინსვლის საფუძველი

სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის წინსვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგეტიკის შემდგომ განვითარებასთან. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-90 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მკაფიოდ არის აღნიშნული — „გავადიდოთ 1990 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 1840-1880 მილიარდ კილოვატსაათამდე. უზრუნველყოთ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა.

განვაგრძოთ ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფორმირება, ავაშენოთ 500,750 და 1150 კილოვატი ძაბვის ცვლადი დენისა და 1500 კილოვატი ძაბვის მუდმივი დენის სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე მანაწილებელი ელექტროქსელები.

გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 21-23 პროცენტით, შევამციროთ ელექტრული და სითბური ენერგიის თვითღირებულება 4-5 პროცენტით“.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში თავისი სიტყვა უნდა თქვან ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკოსებმა.

როგორც „საქმთავარენერგოს“ უფროსმა ი. ბედიამ თქვა, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ენერგეტიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფმტკიცებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დარგის ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფისათვის.

რესპუბლიკის ენერგეტიკოსები კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეხვდნენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს. მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის განვლილ თერმეტ თვეში რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა გეგმის გადამეტებით ამოიმუშავეს 210 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მომხმარებელს მიაწოდეს 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, ხოლო საექსპორტო მიწოდების გეგმას 110 მილიონი კილოვატსაათით ჭარბობენ. ქსელებში დანაკარგები შემცირებულია 0,05 პროცენტით.

„საქმთავარენერგოში“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზრუნვას შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში აქ შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 2 პროცენტით.

მეთორმეტე ხუთწლედში ბევრი სიძნელის გადალახვა მოუწევთ დარგის სპეციალისტებს. მიუხედავად განხორციელებული მრავალტაპობრივი სამუშაოებისა, ბოლო წლებში რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბაზაში წამოიჭრა სიმძლავრეთა სტრუქტურის დისპროპორცია, ჯერ კიდევ არასაკმარისია სისტემათაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირი. არის სხვა პრობლემებიც, კერძოდ საბაზისო სიმძლავრეები ენერგოსისტემის დადგმული სიმძლავრის მხოლოდ მესამედს შეადგენს.

ამის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრომ დასახეს კონკრეტული ღონისძიებები. ეს ღონისძიებები სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოიწონეს. რესპუბლიკის ენერგეტიკოსების ძალისხმევა ამ ღონისძიებების შესრულებაზე, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაზე, ენერგეტიკული ბაზის ეფექტიანი ექსპლუატაციაზე, ენერგეტიკული ბაზის ინტენსიფიკაციაზე, ენერგეტიკული ბაზის ინტენსიფიკაციაზე, ენერგეტიკული ბაზის ინტენსიფიკ

ბუღალტერია
ფაქტები • მოვლენები

შუშაკრეკვის ინტერესებისათვის

პრესკონფერენცია

მოსკოვში

18 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს გაუმართეს პრესკონფერენცია საბჭოთა მთავრობის 18 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით. პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის შოადგილე ვ. თ. პეტროსკი, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. პეტროსიანცი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. პ. ველიხოვი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. თ. ჩერეროვი.

პრესკონფერენციის გახსნისას ვ. თ. პეტროსკიმ თქვა:

ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადებაში განსაზღვრულია იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებასაც აპირებს საბჭოთა კავშირი შექმნილი ვითარების გამო და ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის ახალი იმპულსის მისანიჭებლად.

თავის მოქმედებაში საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს უწინარესად იმას, რომ 1985 წლის 6 აგვისტოს ცალმხრივი წესით გამოცხადებულმა ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმმა და მისმა ოთხგზის განახლებამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნა. ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის საქმე ტექნიკური კაუსუტიკის ჭაობიდან ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გადავიდა. ნათლად დამტკიცდა, რომ ამ დიდი ხნის მომწიფებული პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. და თუმცა შეერთებულმა შტატებმა 24-ჯერ გამომწვევად და ცინიკურად მოაწყო ბირთვული გამოცდები, მორატორიუმი რეალობად რჩება, და იგი იმოქმედებს ახალ, 1987 წელს, ოღონდ, ახლა უკვე იქამდე, სანამ შეერთებული შტატები პირველ ბირთვულ აფეთქებას განახორციელებდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებს ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა საქმით დაამტკიცოს ბირთვული იარაღის რადიკალურ შემცირებაზე გადასვლის მზადყოფნა, რაც სიტყვიერად არაერთგზის გამოუთქვამს. თუ შეერთებული შტატები ამ ახალ შანსსაც ანაცვალებს ბირთვულ მილიტარიზმს, ჩვენ იძულებული გავხდებით შევწყვეტო გამოცხადებული მორატორიუმის მოქმედება, რადგან სხვა გზა აღარ იარჩევა. ჩვენი მხრივ კი იქნება იძულებითი ნაბიჯი, რომელსაც გვიკარნახებს მხოლოდ ერთი რამ — ზრუნვა ჩვენი საკუთარი უშიშროებისა და ჩვენი მოკავშირეების უშიშროებისათვის. მაგრამ მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო — მაშინაც კი, თუ იძულებული გავხდებოდეს გავაუქმოთ მორატორიუმი, ჩვენ არ დავაპირებთ უარი ვთქვათ მისი ხელახალი ამოქმედების შესაძლებლობაზე, როგორც კი შეერთებული შტატები გვაგრძნობინებს, რომ მზად არის მხარში ამოგვდგეს ამ საქმეში.

ჩვენ კვლავინდებურად მივიჩნევთ მორატორიუმს ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის დიდმნიშვნელოვან, საგრძნობ საშუალებად. ამასთანავე, დადგა დრო, დაუყოვნებლივ შევუდგეთ სრული მასშტაბის მოლაპარაკებას ბირთვული გამოცდის აკრძალვის შესახებ ყოველგვარ ფორუმზე და ყოველგვარი შემადგენლობით, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით.

ჩვენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი მოლაპარაკების დაწყების მომხრენი ვართ. საბჭოთა კავშირის დელეგაციას შეუძლია ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ ადგილას შეუდგეს ასეთ მოლაპარაკებას.

მზად ვართ განვაახლოთ ის სამმხრივი მოლაპარაკებაც ინგლისის მონაწილეობით, რომელიც რამდენიმე წლის წინ, სანამ მას ცალმხრივად შეწყვეტდნენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მჭიდროდ იყო მიახლოებული კონკრეტულ მორიგებებთან.

საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ყველა ინტერესებული ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობა, იმის მომხრეა, რომ ჟენევის განიარაღების საკითხთა კონფერენცია, რომლის სესიაც გაიხსნება 1987 წლის თებერვალში, დაუყოვნებლივ შეუდგეს ბირთვული გამოცდის აკრძალვის შესახებ ცრავალმხრივი ხელშეკრულების შემუშავებას.

მზად ვართ მოვითათბიროთ იმის შესახებაც, რომ სამ გარემოში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე მოსკოვის ხელშეკრულების მოქმედება გავრცელდეს იმ უკანასკნელ სფეროზეც, რომელიც ჯერ არ მოუცავს, — მიწისქვეშა ბირთვული გამოცდების მოწყობაზე.

სსრ კავშირს შესაძლებლად მიაჩნია განიხილოს გამოცდის შეწყვეტის პრობლემა აგრეთვე ნებისმიერი სხვა არსებული საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში და სრულად გამოიყენოს ამ მიზნის მისაღწევად იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა არსებული სისტემის პოტენციალი, რომლთა მიზანია ბირთვული საფრთხის შეზღუდვა.

და ბოლოს, თუ საჭირო გახდა, მზად ვართ იმისთვისაც, რომ მოვიწვიოთ სპეციალური საერთაშორისო კონფერენცია გამოცდის აკრძალვის პრობლემის გადასაჭრელად.

საბჭოთა კავშირი წინადადებას აყენებს ყველა ამ ფორუმზე უშუალოდ მოვკიდოთ ხელი კონტროლის პრობლემის გადაჭრას. არავითარი შეზღუდვები და ამკრძალავი ზომები ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი მიდგომაში არ არსებობს. ერთადერთი უცილობელი მოთხოვნა ის არის, რომ საიმედოდ უზრუნველყოთ ხელშეკრულების დაცვა. ამისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის, კერძოდ, სეისმოლოგიის შესაძლებლობანი, არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე საერთაშორისო და ერთაზედა კონტროლის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლებიც შეიძლება ამ მიზნით დაგვჭირდეს.

საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია რაც შეიძლება მალე მოვრიგდეთ ამ მოლაპარაკებაზე პრობლემის რადიკალური გადაჭრის შესახებ — და ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ ბირთვული იარაღის საცდელი აფეთქებანი.

თუკი მეორე მხარე არ არის მზად ასეთი გადაწყვეტისათვის, სსრ კავშირი თანახმაა მოვითათბიროთ ეტაპობრივი მიდგომის შესახებაც. შეიძლებოდა დაგვეწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1974 და 1976 წლების ხელშეკრულებათა რატიფიკაციით, ბირთვულ აფეთქებათა რაოდენობისა და სიმძლავრის შუალედური შეზღუდვების დაწესებით.

ჩვენი მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ ავამქმედოთ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების მექანიზმი. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ მის უსწრაფეს პრაქტიკულ უკუგებას.

საბჭოთა კავშირის წინადადებანი — ეს არის მტკიცე მოწოდება შეეთანხმოთ ნებისმიერ სისწრაფეზე, ოღონდ ეს ალნიშნავს, ერთ-ერთ ეტაპზე, ეტაპებად დაყოფილ ერთ



ქართული მოთხრობის აღიარებული ოსტატი

რევაზ ინანიშვილი, თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმით რიცხავს განეკუთვნება, ვინ-ცა ლიტერატურულ ალმანახ „პირველი სხივის“ ფურცლებიდან შეიტყო. გუშინდელივით მახსოვს ის პირველი შთაბეჭდილება, ალმანახში მოთავსებული მისი პატარა მოთხრობების წაკითხვამ რომ მოახდინა, ერთ-ერთ მათგანს „ბედრუგანაში“ ერქვა და მწერლის მშობლიური უჯარმელი უბრალო ადამიანის ცხოვრებას მოგვითხრობდა.

უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, თავადაც მწერალი, ახალგაზრდობის ერთგული მეგობარი და მასწავლებელი, ჩვენთან, ლიტერატურასთან შეჭიდებულ სტუდენტებთან და ასპირანტებთან ერთად აღტაცებული იყო რევაზ ინანიშვილის გამორჩეული ნიჭით.

სტუდენტობიდან მოყოლებული გამრჯე გლეხკაცივით მუყაითი, აუჩქარებელ, ცხოვრების ავ-კარგზე დაფიქრებულ, სიტყვაძვირ რევაზ ინანიშვილს კალამი ხელიდან არ გაუგდია და თავისი მცირე ზომის მოთხრობებით სრულად ახალი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური სამყარო შექმნა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. აი, მეექვსე ათეული წლის უკანასკნელმა წელმაც მოგვიკაკუნა — ჩვენი საყვარელი მწერალი და მეგობარი რევაზ ინანიშვილი 60 წლისა გახდა.

იმ ხნის მანძილზე, რაც მე ლიტერატურულ სარბიელზე ვმოღვაწეობ, ბევრჯერ მსმენია ერთი საყვედური ლიტერატურისადმი, რომ ის ეგრეთ წოდებულ მნიშვნელოვან თემებს არ ამუშავებს, რომ ეგრეთ წოდებული წვრილ-წვრილი თემები აკნინებს მხატვრული სიტყვის ზემოქმედებით ძალას, რომ დიდი ხანია დროა დიდსა და მონუმენტურს შევეჭიდოთ.

მსოფლიო ლიტერატურის პრაქტიკა მუდამ იმას ამტკიცებდა და ამტკიცებს, რაც უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში უახლესმა ქართულმა მწერლობამ დაამტკიცა: არ არსებობს თავისთავად მნიშვნელოვანი, მონუმენტური თემები. თემის სიდიდესა და სიპატარავეს ტალანტს თავისებურება წყვეტს. ერთი შეხედვით უბრალო ცხოვრებისეული მოვლენა, რომელიც აქამდე, ამ წუთამდე არავის ყურადღებას არ იქცევდა, მას შემდეგ, რაც შთაგონების შუქშა მოექცა, ენით აუწერელ მეტამორფოზას განიცდის და მკითხველს სრულიად სხვა კუთხით, სხვა განზომილებით წარმოუდგება.

რევაზ ინანიშვილს აქვს ერთი პაწაწინა საბავშვო მოთხრობა „ჩვენი ყოჩაღი სკვინჩა“. მოთხრობა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იქ თითქმის არაფერი ხდება, არც პოლარული ხასიათების სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახება, არც კლასთა ბრძოლა, არც მიწა იძვრის ფარებისა და შუბების კვეთებისას, მაგრამ მწერლის მადლიანი სიტყვა, ამაღლებული პოეტური განწყობილება, მოთხრობაში დახატულ-გაცოცხლებული სურათი ისე ღრმა კვალს ტოვებს მკითხველის გულში, ძნელია, ის ოდესმე დაგავიწყდეს.

მაინც რა არის აღწერილი რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში?

სკოლიდან მომავალი, სიცივისაგან გათოშილი მერცხლისფერბეერეტიანი გოგონა შეეუხვეზული უყურებს ბუმბულაშლილ სკვინჩას, რომელიც ცივ ქარს როგორღაც უძალიანდება და რაღაცას კენკავს ფილაქანზე. მოთხრობის ლირიკული გმირიც ჩერდება. ახლა ისინი ერთად უყურებენ სკვინჩას და საოცრად აახლოებთ უმწეო ჩიტს ბედზე ფიქრი. „ცალფეხაა“, — ამბობს გოგონა. ლირიკულ გმირს ეს ასე არ ჭგონია. ცდილობს დაამტკიცოს თავისი ვარაუდი. მაგრამ ამ დროს ქარი დაუბერავს, წააქცევს სკვინჩას. ცოტახნის შემდეგ ის წამოიწევს, ისევ დგება იმავე ფეხზე და კვლავ კენკავს. ქუჩის თავში გამოჩნდებიან ონავარი ბიჭი და ძაღლი. მათაც შეამჩნიეს სკვინჩა და აქეთ მოდიან. ბუმბულაშლილი სკვინჩა იგრძნობს საშიშროების მოახლოებას, ძლივს აიტანს ტანს, აფრინდება და თვალს მიეფარება. გოგონამ და კაცმა შვებით ამოისუნთქეს, ერთმანეთს შესცინეს, გაიბა მეგობრობის ძაფი. „რა ბქვია“? — ჰკითხა კაცმა. „ბზია“. „სხვა ჩიტებსაც სცნობ?“ გოგონამ მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და წავიდა.

მნიშვნელოვანი თემაა! ამაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთადერთ მოწოდებად მთელმა მწერლობამ ლირიკული ჩანახატები გაიხადოს და ხელი აიღოს დიდი სოციალური ისტორიული ძვრების ასახვაზე, ეპიკური პროზისა და პოეზიაზე. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, დიდ ლიტერატურას ესეც სჭირდება და ისიც, ოღონდ ქმნილება, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ჭეშმარიტი შთაგონების ნაყოფი უნდა იყოს და მისი მნიშვნელობა იმით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს, თუ რას ასახავს, არამედ იმით, თუ როგორ და რისთვის ასახავს!

რევაზ ინანიშვილის ყოველი მცირე მოთხრობა, მიუხედავად ფორმის სიპატარავისა, მთელი ეპოსია, რაღაც ფიროსმანისებური, მთვარის შუქით განათებული და ამავე დროს უაღრესად რეალური, ცხოვრებისეული. თხრობა-ძერწვის საკვირველ უშუალობას, რაც ასე დამახასიათებელია რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედებისათვის, საფუძვლად უდევს ძვალ-რბილში გამჯდარი სიმართლე ხალხური ხასიათებისა, პოეტური აღმფრენა, დაუოკებელი ფიქრიანი სიხარული და წარმოდგენა სამყაროსი, როგორც ერთი მთლიანი ცოცხალი არსებისა.

რევაზ ინანიშვილი ვერ ეგუება ვერავითარ სიყალბეს, მოჩვენებითობას, მასალის ჰომეზურობას, მიახლოებით დახასიათებებს. მწერლის სიტყვა უაღრესად კონკრეტული, ზუსტი, ტევადია. მთავარი აქ მარტო ის როდია, რასაც კითხულობთ, კიდევ უფრო მთავარია ის, რაც სიტყვასა და სიტყვას შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის ამოიკითხება.

შეუდარებლად მართალი და უშუალოა რევაზ ინანიშვილი იქ, სადაც სამოქმედო ასპარეზზე ბავშვები გამოდიან. მაგონდება სადღაც მომავალი ჯაყჯაყა ავტობუსი მწერლის ერთ-ერთი მოთხრობიდან, მგზავრები, გოგონა, თოჯინას რომ ათამაშებს, თვალი კი იქვე მჯდომ პირმომღიმარე დედაზე უჭირავს და თან ნათესავ ბიჭს საქმიანად, ჩუნწად არიგებს: „უნდა წაიკითხო მარსელ პრუსტი, ქლიბად ხომ არ უნდა დარჩე მთელი წუთისოფელი“.

შეუძლებელია, სიცილი არ წაგსკდეს. რა ზუსტად გადმოუღია ყველაფერი უფროსებისაგან ამ პატარა ქალს, როგორ ნათლად ვხედავთ მის გარემოს! ამტკიცებს გაგონილ მარსელ პრუსტს მოიხსენიებდა და ქლიბთან შედარებაც სწორედ ამ გზით შემოიჭრებოდა ქალ-ვაჟის დიალოგში!

რევაზ ინანიშვილის მთელი შემოქმედება, მრავალი დიდი და მცირე კრებული პატარ-პატარა მოთხრობებისა მშობლიურ ადგილებს — ხაშმს, უჯარმას, გარეკახეთის ლანდშაფტს დასტრიალებს. გრჩება შთაბეჭდილება, რომ თავის ქვეყანასა და სოფელ-კუთხეზე თავდავიწყებით შეუყვარებულ მწერალს ივრის ხეობაში გაძძის სამალავისათვის მიუგნია. იღებს სათითაოდ ამ გაძძს და გამოაქვს საამქარაოზე, კიდობანს კი არაფერი აკლდება, ისევ სავსეა, ელის, როდის ჩაყოფს ხელს მწერალი, ახალ მადლიან მოთხრობას როდის ამოიღებს.

ხვავი და ბარაქა რევაზ ინანიშვილის ჯადოსნურ კიდობანს, მის მფლობელს კი დიდხანს სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები!

რევაზ ჯაფარიძე.

მორევი

ორი დღე, და სექტემბერიც დადგება. რომ თენდება, უკვე ცივა, ცივი ნამია გაგებული ბაღახებზე. მერცხლები გუნდ-გუნდად იკრიბებიან, დიდი ჟიკჟიკი აქვთ, დიდი ერიამული. უთუოდ იმაზე მსჯელობენ, როდის გაფრინდნენ სამხრეთისკენ, ვინ წაუძღვეს ნინ, ვინ გამოპყვეს გუნდს მებოღოვედ.

ყურძენი შეთვალეულია, შინდი უკვე მწიფს. მართალია, შუადღისით ცხელა, მაგრამ დაიწვს თუ არა მზე, აგრილდება. საღამოობითაც ცივა, თბილი უნდა ჩაიცვა.

სერებზე ძეძვები და ჯაგრცხილები შეყვითდნენ. დღისითაკ, მზეში, რაღაცნაირი სიყვითდე დგას, ასეთი სიყვითდე ფერისცვალობის შემდეგ დგება. ძაღიან ლამაზია უკვე საშემოდგომოდ ღურჯად გამკვრივებული ცა, ზედ თეთრი ღრუბლები, ძირს კიდევ ეს სიყვითდე. მოციდივებენ ამ სიღამაზეში ღამაზი კვირიონები და მოკრუტუნებენ მიწისკენ თვალებდაცეცებულნი — იქნებ სადმე ფუტკრები დავინახოთ და პირი ჩავიკოკოლზინოთო.

ასეთ დღეებში ტყეში ყოფნას არაფერი სჯობს, გამორჩევით — დიდა-საღამოს. მე მზის დაბრისას მომიწია სახლიდან გასვლა. გადავიკიდე ჩემი მონადირული ჩანთა, ავიღე ხელჯოხი და წავედი. წავედი ივრის ნაპირ-ნაპირ. იორი დაწმენდილი იყო, თავთხელების ჩქერალები თეთრად და მწვანედ ციმციმებდნენ.

მივუახლოვდი კალეს. იმ კალის ძირას დიდი საბანაო მორევია. მორევი სავსეა ხოლმე ბიჭბუჭმით და ციდებითაც. მაგრამ ეს, როცა ცხელა, ახლა კი საკმაოდ გრილდა, მზე კაკლების კენწერებს მოჰფარებოდა და მაინც სამი შავად გახუხული ბიჭი ბანაობდა, ათითორმეტი წლისანი. სამივე ისე იყო გამხდარი, ნეკნებს სათითაოდ დაუთვლიდი, ნაპირზე ცეკხლი ენთო, დიდი ნარიყი შეშები შეეწყოთ ერთმანეთზე, ის შეშები ნელ-ნელა იწვოდა, მაგრამ როგორც ნარიყმა იცის, მაინც კარგად იწვოდა. გამოცვიდნენ ბიჭები წყლიდან აკანკალებულები, თმები ზღარბებივით ედგათ, კბილებს აკაწკაწებდნენ. მიუცუცქდნენ ცეცხლს, თანაც იმ მხარეს, საითაც ბოლი მიდიოდა. თვალებდახუმულები, ხელებს აღში ურევენ. ისე პრიალებენ სველები, თითქოს ღაკი ჰკონდეთ წასმული. კბილებს მაინც კბილებზე აკაწკაწებენ.

დაეუდეკი წინ, დაეყოუდე ჯოხზე, ვუყურებ. ამოსმხედეს, ჩქარ-ჩქარა დაახამხამეს თვალები, ბოლს აკეთიქით დაუწყეს გაყრა ხელებით. ტუჩები დაღურჯებიათ, კბილებითა და თვალებით შემომნათიან.

— აქედან მაინც დაუსხედით, კაცებო, მაგ ბოლში რომ იხრჩობთ თავს, — ვუთხარი მე.

ერთმანეთს გადახედეს, ისეთი გამომეტყველება მიიღეს, — ეს ვინ არის, რა ჭკუის კოლოფიაო.

— მაინთ რომ სითბო არ მოდის?

მე კეფა მოვიფხანე გაწბილებუღმა.

— კი, მაგრამ რაღა გაბანავებთ, როცა თან ეგრე გცივათ?

ისევ გაუქნიეს ხელები გაძღიერებულ ბოლს, ისევ შემომნათეს თვალები, თან ახლაც ცოტა ეშვით, ეს რეებს გვეკითხება, ეს ამოდენა კაეიო.

— კარგია, — სიამოვნების სიცილით თქვა ყველაზე ტანორიჩიდმა, ყველაზე გამხდარმა.

— აღრე ვებანავათ, სანამ მზე მაღლა იყო და თბილოდა.

— მაშინაც ვბანაობენით.

— არ ეეყოთ?

— არა. პირველში სწავდა იწყება და მერე...

აქაც გადახედეს ერთმანეთს, რაღაც დაადასტურეს უთქმელად. თან კანკალს განაგრძობდნენ.

— მერე აღარ შეიძლება ბანაობა?

— შეიძლება, მაგრამ ეგეთი გემო აღარა აქვს.

— რატომა?

— გაკვეთილები რომ მოსამზადებელი გაქვს.

მე ერთხელაც მოვიფხანე გაწბილებული კეფა.

იმათ — გაუქნიეს, გაუქნიეს ხელები ბოლს, უცად წამოხტნენ, გაიქცნენ და სამივე სხვადასხვანაირად გადაეშვა მორევში: ერთი თავდაყირა, მეორე ხელებაწეული, თითებგაფარჩხული, მესამე სადგისივით წაძვრა პირდაპირ დიდ ტალღებში. სატრიალოში ერთმანეთს შეხვდნენ, დაიწყეს ძიძგიდაობა, ერთმანეთის დაოსება, ყველა ცდილობდა, მეორესათვის ჩაეყოფინებინა თავი წყალში. დაფეთებული ჩიტებივით ამოდიოდა მათი ხითხითი წყლიდან.

მე ღიმილით დავიწყე კედეზე ასვლა. იმ კედეზე უნდა ავსულიყავი და იქით დაბლა დავშვებულიყავი. მაღლა რომ ავედი, გავჩერდი და გადმოვხედე მორევს. ბიჭები ისევ ცეკხლი მისხდომოდნენ, ისევ ბოლის მხარეს, ისევ ხელებს უთათუნებდნენ ბოლსა და აღს. აქედან მთლად პატარები ჩანდნენ, დაუუმბდავი ბარტყებივით ერთმანეთს მიკრულნი დიდ რიყეზე, დიდ წყალთან. კვამლი ახლა უფრო სქელად ამოდიოდა მაღლა.

ოი, როგორ დამავიწყდა!

ჯეცხლის ირგვლივ შემწვარი სიმინდების დაცარიელებული ქეჩრეები ეყარა, იქვე ეგდო ორი მსხაღი, ათიოდე მსხვილი ღორკვლიავა. დიდ ქვაზე იდო შავი პურის გამმსმარი, გაკოროწებული ნატეხი, იმ პურის ნატეხზე ნივრის ორი კბილი...

ცირკის მასხარა ვენახში

ბაკიდა მამა კარის ვენახში. ჩარაზა შიგნიდან კუტკარი. მიდის. ჯერ აღუბლების ძირას გაიარა თავდახრილმა, მერე ვაშლისა, მერე შევიდა ვეება კაკლის ქვეშ. კაკლის ზროს (ძირს) ორი კაცი ვერ შემოუწვდენს ხელებს. ჯერ მხოლოდ სამ ტოტად არის გაყოფილი, მერე ის სამი ტოტიც სამსამად მაინც იყოფა, ადიან მაღლა და წვრილი ტოტებით და ხშირი ბრტყელი ფოთლებით ისეთ ვეებეა მწვანე გუმბათს ქმნიან, პაწაწინა ბრეყვთაღებად თუ გამოსჭვივის შიგ მზის სხივები.

კაკადზე თოხი ჰკონდა მიყუდებული მამას. აიღო ის თოხი, გავიდა კაკლის ქვეშიდანაც, ზემოთ არის ასასვლელი, წყალი უნდა გადმოუშვას ეკ ვენახი მორწყას. შევიდა დიდი კეხტრა ვაშლის ქვეშ და, — ჭოოტ! ჭოოტ! — მოესმა ჭოტის ხმა — ღღისით, მზისით. აიხედა მამამ, ეძება, ეძება — ჭოტი მაინც ვერ დაინახა. ის იყო, გზა უნდა გაეგრძელებინა და ისევ, — ჭოოტ! ჭოოტ! უფრო გუღმოდგინედ დაიწყო თვალიერება. ვაშლის ტოტებთან ღობის იქით მდგარი თელის ტოტებიც არის ერთ-ერთ ტოტს და იცინის, იცინის. მერე დაიძახებს:

— ბიჭებო! ბიჭებო!

მისი ბიჭები ამ დროს ეზოში ძაღლს ეთამაშებოდნენ, უფროსი კეფით მიათრევდა გუდაღმა მწოღიარეს. ძაღლი მაინც ხმას არ იღებდა, პირიქით, თითქოს სიამოვნებდა კიდევ, თითქოს სიცილითაც კი აკაპუნებდა კბილებს. უმცროსი ბიჭი ეჩხუბებოდა უფროსს, მომეცი კუდი ახლა მე, ახლა მე ვათრიო ძაღლიო. მამის ძახილი რომ შემოესმათ, გაჩერდნენ.

— ბიჭებო, ბიჭებო! — ისევ იძახდა მამა.

— ბატონო! ბატონო!

— ჩქარა! ჩქარა! აქ მოდით!

ბიჭებმა ძაღლს თავი დაანებეს და გაიქცნენ. ძაღლი წამოხტა, ერთი გაიძაგრა, ტანი დაიბერტყა და ისიც ბიჭებს დაედევნა.

— რა არის, მამა, რა!

— მოდით! მოდით! შეხედეთ!

მიირბინეს ბიჭებმა, თვალი გააყოლეს მამის გაშვერილ თითს და ჯერ გაოცებულებმა ამოიძახეს, — ეე! — მერე სიცილი დაიწყეს, მერე ხარხარი აუტყდათ, მერე ველარ გაუძღეს ფეხზე ხარხარს, ბაღახებში გაგორდნენ, გაგორებულებიც მაღლა იყურებოდნენ, მუცელზე ხელებს იფერდნენ. ნახა ძაღლმა, ბიჭები გორაობენო, და ისიც გაგორდა, ჰაერში ათამაშებდა ფეხებს.

გაიგეს ამ ბიჭების ხარხარი მეზობლის ბიჭებმა, ზოგი საიდან გადმოხტა, ზოგი საიდან ამოძვრა.

— შეხედეთ! შეხედეთ!

დაინახეს იმათაც ჭოტი და მოჰყვნენ ხარხარსა და გორვას.

გაიგო დედამ ეს ხარხარი და ქოთქოთი, დაადგო ცოცხი, ისიც გამოიქცა, მოირბინა ვაშლთან, იყურება მაღლა და ისიც იცინის, იცინის...

— რა ამბავიაო, კაცო! — პაპამ, ისიც წამოვიდა ღურჯ წინსაფარზე ხელების წმენდით.

— აიხედე, პაპა, აიხედე!

აიხედა პაპამ, იყურა, იყურა.

— მე ვერაფერს ვხედავო.

— ჭოტი, პაპა, ჭოტი! ნახე როგორი თვალებით იყურებაო!

დაძახა მზერა პაპამ, უფრო დაძახა და იმასაც სიცილი აუტყდა.

— ეგ მაიმუნისა, ეგაო! ბარტყია და იმიტომ აირის ეგეთი სასავიო.

თეღის ხმელ როკზე პატარა ჭოტი იჯდა, ყურები თაგვივით ჰქონდა აკქვეტილი, დიდი თვალები — ერთი მაღლა ჰქონდა აბრეცილი, მეორე დაბალ, პირს ატოკებდა, თითქოს კამფეტს წუწნის ჩქარ-ჩქარაო, წაიღებდა მოწყვეტილივით ფამფაღა თავს უკან, ზედ ბეჭებშეა დაიღებდა ნისკარტს, ისევ მოიხედავდა და ახლა მეორე თვალს ააბრუნებდა მაღლა, ან ორივე თვალს აფახულებდა სასაციღოდ, პირსაკ ისევ ატოკებდა ჩქარ-ჩქარა, თითქოს ბიჭებს ეუბნებოდა:

— აბა, თქვენკ გააკეთეთ ეგრეო!

ბიჭები ბაძავდნენ, მაგრამ კარგად ვერ გამოსდიოდათ და ისევ გორაობდნენ სიცილით. დედაკ კი ჩამჯდარიყო ბაღახებში.

უცად ხმეღ როკს გორაბი მოხვდა. ბიჭები ერმანეთს აბრაეებდნენ, — არა, შენ ესროდე, არა, შენო. აფრინდა ჭოტი და შეფრინდა კაკლის ხშირ ფოთლებში. იქაც ეძებეს ბეგრი, მაგრამ ვეღარ იპოვეს. ჭოტი თითქოს თავის სახლში შევიდა და კარები მოხურა.

მამამ თქვა:

— მორჩა, დამთავრდა ვირკი, წაგვიდა მასხარაო.

პაპამ კი ეს უთხრა ბიჭებს:

— რა მაიმუნებიც თქვენა ხართ, ის მაიმუნიც ეგ ჭოტის ბარტყი იყო. ედას ბუდეში სძინავს, ეს ონავარი კი დაფრინავს და დამაიმუნობსო.

მაგრამ ვირკი არ დამთავრებულა. ბიჭები სულ ამას ეკიღობდნენ ბეჭებამდე მიეტანათ ეზვირები, თვალები კიდევ — ერთი მაღლა აებრუნებინათ, მეორე დაბალ დაეხარათ. უყურებდნენ ერმანეთს და ახლა ამაზე იკინოდნენ, ბეკრდებოდნენ სიცილით.

ბიჭების გაკინებას რა უნდა! მით უფრო — თუკი თვალებში შეჰყურებთ მათი ჭკუის, გაკვირვებისაგან პირდაღებული ძაღლი.

საუბრისთვის

მოუყარულ ძმლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებისა [illegible] — „ძმლეოსნის ოქროს ვარსკვლავი“ [illegible] 26 საუკეთესო ... ძმლეოსანი — შეფასება იმისათვის, რომ საზეიმო ვითარებაში მიეღოთ ეს ახალი ჯილდო. მათ შორის იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები, მსოფლიო რეკორდსმენები ს. ბუბკა, ი. სედინი და მ. სტეპანოვა. „ძმლეოსნობის ოქროს ვარსკვლავებით“ მკერდდამშვენებულები როგორც კი მოსკოვში ჩამოვიდნენ, იტალიიდან მიღებული სასიხარულო ცნობა დახვდათ: ბუბკას სახელზე მოსული დეპეშა ეუწყებოდა, რომ მას მეორედ მიენიჭა უმაღლესი სპორტული ჯილდო — ოსკარი.

1986 წლის სეზონის მიხედვით არგენტინის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესი ფეხბურთელი, არგენტინის ნაკრების კაპიტანი დიეგო მარადონა. იგი მეორედ დაჯილდოვდა პრიზით — „ოქროს ოლიმპია“. პირველად მან ეს პრიზი მიიღო 1979 წელს.

სსრ კავშირის 1986 წლის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა წოდება მიეკუთვნათ იორი კოროლიოვსა და ელენე შუშუნოვას. პირველს ჟურნალ „მოლოდი კომუნისტის“ პრიზი გადაეცემა, მეორეს — ჟურნალ „სოვეტსკაია ეკრანის“ ჯილდო.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე მოსკოვში მიმდინარე XX საერთაშორისო შეჯიბრების მეოთხე დღეს სსრ კავშირს ნაკრებმა დაამარცხა შვეიცის გუნდი — 6:0, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა მოუგეს კანადელ ჰოკეისტებს — 4:1. ასპარეზობის ოთხი დღის შემდეგ სსრ კავშირის სპორტსმენებს 4 ქულა ჰქონდათ, ჩეხოსლოვაკიელებსა და ფინელებს — 3-3.

კალათბურთი. 23 დეკემბერს თბილისში, . რიგასა და დონეცკში დაიწყება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ამ ეტაპის წინ ცსკას 30 შესაძლებლიდან 28 ქულა აქვს, კიევის არმიელთა გუნდს — 25, კაუნასის „ჟალგირისს“ და დონეცკის „შახტიორს“ — 24-24, რიგის ვეფს და თბილისის „დინამოს“ — 23-23, ლენინგრადის „სპარტაკს“ — 22, კიევის „ტორპედოს“ — 21, მინსკის რტის, მოსკოვის „დინამოს“, ალმა-ათის არმიელთა კოლექტივს და ვილნიუსის „სტატიბას“ — 20-20 ქულა.

ფარიკაობა. რიგაში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება. რაპორისტი ვაჟების შემდეგ იასპარეზეს მოზმალავებმა. ამ სახეობაში უძლიერესის წოდებას დაეუფლა გ. პოგოსოვი (უკრაინა). მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. კროვოპუსკოვი (მოსკოვი), მესამეზე — ნ. ისმაილოვი (რსფსრ).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ხალხთა ძმობის მესიტბეზე

„ვაჟიდო მეგობრობა — ჩემი სასიხარულო ვალია“ — ღრმა აზრით გამსჭვალული ეს სიტყვები გამოხატავენ ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, ყაზახი პოეტის შუხთარ შახანოვის შემოქმედების არსს, რომლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა 19 დეკემბერს მოსკოვში, ლიტერატურთა ცენტრალურ სახლში მან ჩაიარა დევიზით „ხალხთა მეგობრობა — ლიტერატურათა თანამშრომლობა“.

საღამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ე. ევტუშენკომ, რომელმაც თავისი თანამოკალმის მრავალი ლექსი თარგმნა რუსულ ენაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, შუხთარ შახანოვი სულით ხორცამდე ყაზახი ავტორია, მაგრამ მისთვის უცხოა ეროვნული შეზღუდულობა. თავის ლექსებში პოეტი უმღერის ხალხთა ძმობას, გამოხატავს უბრალო მშრომელთა ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მშობლიური მხარის სიყვარულით არის გამსჭვალული ლექსები, ბალადები, პოემები, რომლებიც შესულია კრებულში „დროის სახეები“. ამ და სხვა წიგნების ნაწყვეტები გაისმოდა ავტორისა და რუსი მთარგმნელი პოეტების შესრულებით. შუხთარ შახანოვმა მოსკოველებს გაუზიარა შემოქმედებითი გეგმები.

(საკ.ინფ. კორ.).

XX საუკუნის მოდა

იგი ელვის სისწრაფით იპრრება არა მარტო ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, არამედ სამრეწველო წარმოების სფეროშიც.

...მბრწყინავ მოვერცხლისფერ სკაფანდრში ჩაცმულმა კაცმა პირდაპირ შეგიჭა მარტენის ღუმლის ხვატში: მიმდინარეობს თბილისში არსებული საკავშირო პროფსახმეოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ შექმნილი თბოდამცველი კოსტიუმის გამოცდა.

ღუმლის რემონტის დამთავრების შემდეგ, სადაც ხიცხე სამას გრადუსამდე აღწევს, გამომცდელი მზნედ გამოიყურებოდა, სკაფანდრში მიკროკლიმატი ნორმალურია — ტემპერატურა 20 გრადუსს აღწევს, თხევადი ჰაერი ყინავს ნახშირორჟანგს გაზს და აორთქლებისას, ეანგბადით გამდიდრების შემდეგ გამოდგება სასუნთქად. სკაფანდრის უპირატესობა დიდად შეაფასეს სპეციალისტებმა: მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი.

ინსტიტუტის მეცნიერთა არსენალშია სხვა საიზოლაციო კოსტიუმები, რომლებიც განკუთვნილია ელექტრომალურ პირობებში ადამიანის ყოფნისათვის. ატომური ელექტროსადგურის ორთქლის სისტემების შეკეთების, მინახახარშ ღუმელებში საავარიო-აღდგენითი სამუშაოებისათვის, მას იყენებენ აგრეთვე შემდეგ ღონისძიებებისათვის, რომლებიც მუშაობენ ისეთ კონსტრუქციებთან, 200-300 გრადუსამდე რომ ხურდება.

ავტონომიურსიხტემიანი ან სპეციალურ ამძრავშლანგიანი საიზოლაციო კოსტიუმები საწარმოს ათობით და ასობით ათას მანეთს უზოგავენ. სწორედ ამდენი ჯდება მარტენის ღუმლის მოცდენა მის სრულ გაცივებამდე, როცა შესაძლებელი ხდება სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

სურათებზე: ველოერგომეტრის მეშვეობით ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა შემუშავების სექტორში ამოწმებენ, თუ როგორ გრძნობს თავს შემდეგი სპეციალურ კოსტიუმში; სამრეწველო ვენტილაციისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა სექტორის ინჟინერ-კონსტრუქტორი მერი კოკნაძე; XX საუკუნის მოდა; თბოსაიზოლაციო კოსტიუმების გამომცდელი მარტენის ღუმლისაკენ მიემართება.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

იუწყება, რომ ა. წ. 26 დეკემბერს 15 საათზე ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება იწვევს სხდომას, რომელზეც საჯაროდ განიხილავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომებს.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

სხდომა გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 52, IV სართული, ოთახი № 411).

ყურადღება!

ახლოვდება საახალწლო დღესასწაული. კულტურის სახლებში, სკოლებში, საბავშვო სახლებსა და დაწესებულებებში მრავალი საახალწლო მასობრივი ნაძვისხე აკიაფდება.

ყველა ხელმძღვანელს შევახსენებთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საახალწლო ნაძვისხის მოწყობა შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველ ო ბ ი ს ორგანოებთან.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ობიექტების ხელმძღვანელებს.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართ ი ე თ ადგილობრივ სახანძრო დაცვის ორგანოებსა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ღრმად ეროვნული

ხუთიოდე წლის წინათ გამოიცა რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ერთტომეული, რომელშიც შესულია ავტორის საუკეთესო ქმნილებანი. ვამბობ: ქმნილებანი, რათა უფრო მკაფიოდ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ამ უჩვეულო მწერლის შემოქმედებისადმი. ეს წიგნი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია და ავტორის ამოუწურავი შემოქმედებითი პოტენციის მაჩვენებელი.

მწერლის „პირველი მოთხრობები“ მკითხველმა 1953 წელს მიიღო. მეტად გულთბილი იყო მკითხველისა და მწერლის ეს შეხვედრა.

რევაზ ინანიშვილი ურყევად დგას მშობლიური მწერლობის ნიადაგზე, მისი ჯელა ნაწარმოები ქართულია, ღრმად ეროვნული.

გავიხსენოთ იუბილარის რამდენიმე წიგნი: „წვეთები ფოთლებზე“ (1960 წ.), „ბიბო“ (1964), „სად ცხოვრობს მეზოპარე“ (1970), „საღამო ხანის ჩანაწერები“ (1971), „ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა“ (1974), „ჩიტების გამომზამთრებელი“ (1978), „თებრო“ (1983), „კეთილი მიწა“ (1984)... ამ მშვენიერ წიგნებში გამოქვეყნებული ბევრი მოთხრობა თარგმნილია რუსულ, სხვა მოძმე ხალხთა და უცხოურ ენებზე.

1976 წელს გამოცემული საბავშვო მოთხრობების წიგნებისათვის „შორი თეთრი მწვერვალი“ რევაზ ინანიშვილს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია, ხოლო 1980 წელს კინოფილმის სცენარისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“.

დღეს გარეკახეთის ორი უმშვენიერესი სოფელი — ხაშმი და უჯარმა ეკიბრება ერმანეთს სასაღელო შვილის სიყვარულში, ორი სოფელი და... სრულიად საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული.

არც ის გვავიწყდება, რომ საოცი წლის იუბილარს უთვალავი თაყვანისმცემელი ჰყავს მთელ საბჭოეთში და მის საზღვრებს გარეთაც.

ემრავლოს დამფასებელი და კეთილმოსურნე!

ხუტა ბერულავა.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ეთერი

21 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიგმული ტანვარჯიში. 10.10 — სპორტლოტო. 10.20 — დოკუმენტური ფილმი. 10.30 — მაგვიანარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავ